

საქნახშირი

პრესრელიზი

კომპანია „საქნახშირმა“ პირველკლასელებს ტრადიციული საჩუქარი მოუმზადა.

კომპანია „საქნახშირმა“ მემახტეთა პირველკლასელ შვილებს სასკოლო საჩუქრები გადასცა. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი დღით ადრე მინდელის სახელობის შახტის ადმინისტრაციული შენობის ეზოში ფერადი დღესასწაული მოაწყო. 80-მდე პატარამ ამ დღეს „საქნახშირისგან„ სასკოლო ჩანთები, ფერადი ფანქრები, კალმები, პენლები, საკანცელაირო ნივთები მიიღო.

კომპანიაში, სწავლის დაწყების წინ, პატარებს ტკბილეულითა და ნაყინებით გაუმასპინძლდნენ და ამით ეს დღე პატარებისთვის კიდევ უფრო დასამახსოვრებელი გახდა. „სკოლის დაწყების წინ კომპანია განსაკუთრებულად ემზადება და განსაკუთრებულ საჩუქრებს უმზადებს თანამშრომელთა პირველკლასელ შვილებსა და შვილიშვილებს.

წელს კიდევ უფრო სასიხარულო იყო როცა შარშანდელთან შედარებით პატარების რაოდენობა გაორმაგდა და თუკი გასულ წელს 40 პირველკლასელი იყო წელს შეხვედრაზე 80 პატარა მოვიდა“, - აცხადებენ კომპანიაში და აღნიშნავენ, რომ საკუთარ თანამშრომლებსა და მათ ოჯახის წევრებზე ზრუნვა კომპანიის ვალდებულებაა და საწარმოს არაერთხელ გაუკეთებია ამგვარი საჩუქარი ბავშვებისათვის სხვადასხვა დღესასწაულებზე. ტრადიციად იქცა უკვე სწავლის დაწყების წინ პირველკლასელებისათვის სასკოლო საჩუქრების გადაცემაც.

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს მიდიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

